ილია ჭავჭავაძე – „განდეგილი“ (ეროვნული იდენტობის დესტრუქცია და კოლონიზაციის ტრავმული გამოცდილება – თვითიდენტიფიკაციის კრიზისი)

Ilia Chavchavadze – THE HERMIT (Destruction of national identity and traumatic experience of colonization – a crisis of self-identification)

მანანა ნიჟარაძე
Manana Nizharadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Psychology and Education Sciences

საკვანძო სიტყვები: ქართული რეალიზმი და პიროვნული იდენტობა, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და ნაციონალური იდენტობის კრიზისი, მხატვრული ლიტერატურის ჰერმენევტიკული ანალიზი, მხატვრული ტექსტების რევიზიული წაკითხვა.

Keywords: Georgian Realism and Personal Identity, Ilia Chavchavadze Creativity and the Crisis of National Identity, Hermeneutic Analysis – Revision Reading of Fiction

კრიტიკულ რეალიზმად სახელდებულმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა მწერლობამ საფუძველი ჩაუყარა ნაციონალური იდენტობის ძიებისა და თვითშეცნობის, ანტიკოლონიური მოძრაობის ეროვნული ქრონოტოპის ფარგლებში გააზრების ამსახველი კონცეფციებისა და განსხვავებულ ღირებულებათა სისტემის ფორმირების პროცესს. მსოფლგანცდის ევროპული მოდელის პირმშო, ქართული კრიტიკული რეალიზმი, ჩვენი მწერლობის ტრადიციული მახასიათებლებით საზრდოობს, ვინაიდან რეალისტ მწერალთა იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივ ქვაკუთხედს ადამიანთა ისტორიული დანიშნულების, კულტურული ფენომენის, ეროვნული ღირებულებებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მხატვრულად ასახვა წარმოადგენს. ნაციონალური თვითშეგნების გამოღვიძების, ღირებულებათა სისტემის გადაფასებისა და ეროვნული პარადიგმის ტრანსფორმაციის განმსაზღვრელ წინაპირობად მიზანმიმართული ინტელექტუალური მოღვაწეობა, პოლიტიკური აქტივობა და საზოგადოების მობილიზაცია ისახება. „ეროვნულობის გადარჩენისა და კულტურის აღორძინებისთვის ზრუნვა თერგდალეულთა ფილოსოფიის ქვაკუთხედი გახლდათ“ [ჯონსი 2007: 58–59]. ლიტერატურათმცოდნეები არაერთგზის აღნიშნავენ, რომ ქართული ნაციონალური იდეის შექმნის პროცესს ჩვენი კულტურული ელიტა წარმართავდა. სწორედ, ილია ჭავჭავაძე ქმნიდა ქართველი ერის ნარატივს, რომლის შინაარსიც ჩვენს სინამდვილეს, ყოველდღიურობას, ყოფით გარემოს ასახავდა, ხოლო ფორმის თვალსაზრისით ევროპული მსოფლმხედველობრივი ყალიბით წარმოჩნდებოდა. „ქართული ერთობის ეთიკურ სხეულს მან შთაჰბერა ეროვნული სული“ [ჩხატრიშვილი 2007: 11]. მწერალი მიიჩნევდა, რომ პროგრესის იდეა ევროპული განვითარების მოდელს ერწყმოდა. სამოქალაქო აქტივობა და საკუთარი რეალობის გარდაქმნა მგოსნისთვის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა, ხოლო ერთადერთ გონივრულ სტრატეგიას – ცოდნის, მეცნიერების, წარმოებისა და ერთა ერთსულოვნების გზა.

ქართული ლიტერატურა ყოველთვის ეპოქალურ მოვლენებს, საჭიროებებს, მის ნაკლოვანებებსა და ძლიერ მხარეებს ასახავდა. 1801 წლიდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ ანექსია განახორციელა, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათწლეულებში, ქართველი არისტორკატია ნაციონალურ-პოლიტიკური ფუნქციის გარეშე დარჩა, ვინაიდან ლოკალური ქართული განათლება უგულებელყოფილი ან მიუწვდომელი გახლდათ ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის. ამგვარმა პოლიტიკურმა პროცესებმა ქართულ კოლონიზებულ კულტურაში თვითიდენტიფიკაციის კრიზისი წარმოშვა, რაც, ცხადია, ყველაზე თვალსაჩინოდ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ტექსტებში აისახა. ქართულ ლიტერატურაში თვითგამორკვევის კრიზისი ეგზისტენციალურ საკითხს უკავშირდება, რომელიც ნაციონალური არსებობისა და თვითდადგენის შეუძლებლობის შიშს გულისხმობს და ამ პროცესის რეპრეზენტაცია იდენტობის დესტრუქციით ან ნეგაციით, მასკულინური მახასიათებლების რეპრესირებით ხდება. ჩვენი მწერლობის, როგორც კოლონიური ლიტერატურის, ნიშნებად ნაციონალურ მიზნებზე ორიენტირებას, რეზისტენტული დისკურსის განვითარებასა და ქართული სოციუმის ამბივალენტურობას გამოყოფენ. ილუზიური კომუნიკაციის, რეალურ მნიშვნელობას მოკლებული სიტყვებისა და ცნებების განმსაზღვრელი სემანტიკური და სახელმწიფოებრივი მართვის ყოველგვარი ღირებული მნიშვნელობის უარმყოფელი კულტურულდპოლიტიკური ნიჰილიზმი იმ კონტექსტს განაპირობებს, რომლის საფუძველზეც ფსიქოლგიური, სოციალური და კულტურულ-პოლიტიკური ტრავმა, ტრავმული მეხსიერება ყალიბდება. „რა აზრიც არ უნდა გააჩნდეს თანამედროვე ადამიანს, იგი არის არა მეფის, მიწის თუ რწმენის ერთგული, არამედ კულტურის“ [გელნერი 2003: 46]. ქართულ რეალობაში ამ კონტექსტს კოლონიზაციის საფრთხე და სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლა ქმინდა. „ნაციონალიზმის იდეოლოგია კულტურაში ჩაღრმავებას, ისტორიის ხელახლა აღმო-

ჩენას, ადგილობრივი ენის აღორძინებასა და ლიტერატურის განვითარებას მოითხოვს“ [სმიტი 2004: 28].

ილია ჭავჭავაძეს სწამდა, რომ გაცნობიერებული პატრიოტიზმი წარმოადგენდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის წინაპირობას. მწერალი ადამიანის არსებობას, მის დანიშნულებას, ხელოვანის ფუნქციას, სოციალურ წოდებათა ურთიერთობას, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ რეალობას, ფსიქოლოგიურ დილემებს, ზნეობრივ-მორალური თვალსაზრისით დეგრადირებულ, მენტალურად დაკნინებულ სოციუმს, რეგრესულად მოაზროვნე, მოქალაქეობრივ თვითშეგნებას მოკლებულ, ბრბოდ ქცეულ საზოგადოებას, დამახინჯებულ, უსამართლო სოციალურ სტრუქტურებს, ქართველი ერის სასოწარკვეთილ პასიურობასა და ინდიფერენტულობას, თვითიდენტიფიკაციის კრიზისის წარმომჩენ რეალიებს განიხილავდა. შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის უმთავრეს დამსახურებად გია მურღულია ქართველი ერის აზროვნებისა და ყოფა-ცხოვრების რაციონალურ პრინციპებზე დაფუძნების მცდელობას გამოყოფს. სწორად შენიშნავს ფილოლოგი, რომ ილია ჭავჭავაძემ საკუთარი შემოქმედებითა და საქმით გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობრივი გზა გაიმეორა – სცადა რა გაეგებინებინა ქართველი ერისთვის განათლების, კულტურისა და ერთიანი ცნობიერების ჩამოყალიბების მნიშვნელობა. მან ჩვენს საზოგადოებას კომპლექსური აზროვნება ასწავლა, „ახალი კულტურული და საგანმანათლებლო ველი შექმნა საქართველოში“ [მურღულია 2018: 199], „ახალი ქართველის“ – განათლებული, ღირსეული, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული, პროგრესულად მოაზროვნე, მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნების აღზრდის საკითხი განგვისაზღვრა. „მისთვის მთავარი იყო თავისუფლება, პოლიტიკური ავტონომია, სოციალური და სამოქალაქო სინერგია“ [მურღულია 2018: 200].

„განდეგილის“ განხილვისას თავისთავად გვახსენდება ის ურთიერთგამომრიცხველი და უარყოფითი შეფასებები, რომლებიც პოემის, ერთი შეხედვით, უჩვეულო სიუჟეტმა და ფაბუ-

ლამ განაპირობა. იმას, რაც კრიტიკოსთა დიდმა ნაწილმა ნაწარმოების სუსტ მხარედ, ავტორის სახელისა და ნიჭის დამცრობად გამოაცხადა, ლიტერატურის ისტორიამ სათანადო ადგილი მიუჩინა და სწორი შეფასებაც შემოგვთავაზა, როდესაც ამგვარი მასალა ინდივიდუალური სტილის, მხატვრული გამომხატველობის, მარადადამიანური საფიქრალის ამსახველ სიმბოლურ სახისმეტყველებად წარმოგვიდგინა და მსოფლიო ლიტერატურის ისეთ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებს შორის დააყენა, როგორებიცაა: ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, ემილ ზოლას „აბე მურეს შეცოდება“, გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტონის ცდუნება“, ლევ ტოლსტოის „მამა სერგი“, მიხეილ ლერმონტოვის „მწირი“ და იუკიო მიშიმას „საგას ტაძრის წმინდა ბერის სიყვარული“.

მკვლევართა დიდი ნაწილის მსჯელობაში ისმოდა აზრი, რომ მწერალი, ასკეტიზმის პრინციპის დაგმობით, ქრისტიანობას დაუპირისპირდა, თუმცა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეები, ბუნებრივია, აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებენ, ვინაიდან შემოქმედის ეთიკური მრწამსის ერთ-ერთი საყრდენი ქრისტეს მოძღვრებაც იყო და აღნიშნული პოემის ფარგლებში რელიგიური ასკეტიზმის შეფასება ავტორის მხატვრულ ამოცანად არ ისახებოდა. ილია ჭავჭავაძის, როგორც წმინდა ილია მართალის, სტატუსის მიუხედავად, აუცილებელია იმ ფაქტის გააზრება, რომ ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს საერო და სასულიერო ცხოვრებას, ვინაიდან პიროვნების უმთავრეს მიზნად საზოგადოებისთვის მოღვაწეობას, ერისთვის გარჯას, ცოდნის მოპოვებას, მეცნიერების განვითარებას, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გათავისებასა და სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარებას წარმოგვიდგენს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნაციონალიზმი სწორედ კოლონიური შევიწროების, უფლებათა დარღვევისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიაა, რომლის უნივერსალური პრინციპი ეროვნულის პრიმატია რელიგიურ, კლასობრივ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. ამდენად, ილია ჭავჭავა-

ძეს ქრისტიანობა აქტიური სამოქალაქო ქმედებისა და მორალური საქმიანობის სინთეზად ესახება. „სული კი, როგორც ხორცი, ყველა ადამიანისა ეროვნულია, ნაციონალურია. ნაციონალიზმი კოლექტიური პიროვნების კოლექტიური თავისუფლებაა და როგორც კერძო პირი ვერ განვითარდება, ვერ გაიფურჩქნება, თუ მის პიროვნებასა და თავისებურებას ფართო გზა არ ექნა გახსნილი, ისე ერი დაიჩაგრება, თუ მის ეროვნებას არ მიენიჭება სრული თავისუფლება“ [გოგებაშვილი 2011: 87].

ავტორი გვისაბუთებს, რომ განდგომილობა რეალობისგან გაქცევას, პიროვნულ სისუსტეს, „ილუზიურ სიმშვიდესა და ბედნიერებას“, „უტოპიურ გამოსავალს“, საკუთარი თავის შეცნობის შეუძლებლობასა და ადამიანობაზე უარის თქმას ნიშნავს. ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძის, როგორც კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლის, მსოფლმხედველობა რაციონალურ თვალსაზრისს ემყარება, რომლის მიხედვითაც, ადამიანი ცხოვრებისგან გაქცევით საკუთარ არსს კარგავს, ვინაიდან, მწერლის აზრით, პიროვნება მარტოობაში ვერ გამოიწრთობა, ასე საზოგადოება ვერ განვითარდება, მოქალაქე სარგებელს ვერ მოუტანს საკუთარ ერს.

შემოქმედი, ერთი შეხედვით, ნამდვილ ბერს გვიხატავს, რომელიც, ქრისტიანული რელიგიის კანონების თანახმად, საკუთარი ნებით, ტანჯვის გზის გამეორების, ხორციელი სურვილების დაგმობისა და უფალთან მიმსგავსების, მაცხოვრის გზის დამოწმების მიზნით განერიდა საერო ცხოვრებას. „დღედა-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით,/ ხორცი სულისთვის უწამებია,/ და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი /– ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია“ [ილია 1984: 176]. ავტორი აღგვიწერს მწირს, რომელიც მუდმივი ლოცვით, ცოდვილი ცხოვრების უარყოფით, სულზე ფიქრით წმინდანსაც კი დამსგავსებია – „მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა/ ძლევით-მოსილსა და განდი-დებულს“ [ილია 1984: 177]. თითქოს მკითხველს სულიერი სიმტკიცის, მოწამეობრივი სათნოების ცოცხალი ხატი უნდა წარმოუდგეს თვალწინ, რომელსაც განდეგილის ღრმა, კდემამოსილი

სახით გვიდასტურებს მწერალი: „ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი/ სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა“ [ილია 1984: 176]. პოემის შესავალშივე ილია ჭავჭავაძე უფლის მიერ გამორჩეულ, ღირსეულ პიროვნებად გვისახავს ბერს: „თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე/ ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება“ [ილია 1984: 177]. მართალია, ავტორი გვეუბნება, რომ განდეგილი მრავალგვარი ცოდვით დაცემულ, ზნეობადაკარგულ, მტარვალთა და ფარისეველთა მიწიერ სამყაროს განერიდა: „განშორებია ვით ცოდვის სადგურს, /ვით სამეუფოს ბოროტისასა,/ სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს/ განსაცდელსა მას ეშმაკისასა“ [ილია 1984: 175], თუმცა მკითხველი ბერის პერსონაჟის, როგორც გზადაკარგული ფილოსლოფოსის, პიროვნულ და მსოფლმხედველობრივ მერყეობას ამოიცნობს. თავიდანვე ეჭვს ბადებს ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემის მქონე, გაცნობიერებული, რწმენაში განმტკიცებული პიროვნებისთვის შეუფერებელი – საკუთარი თავისა და უფლის შემოწმების ჩვევა – „როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე/თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდნობდა“ [ილია 1984: 175], განდეგილის მუდმივი შინაგანი შიშები, ეჭვი და ყოყმანი, რომელიც, წესით, პირველ რიგში უნდა დაეგმო და უარეყო „უფლის მხევალს“. მწირის ცხოვრებისეული არჩევანი საკუთარ თავთან იგივეობის დადგენისა და გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიებთან (სახელმწიფო, სოციალური სტატუსი, ეროვნება, კულტურა...) ასოციაციის შეუძლებლობას, თვითიდენტიფიკაციის, როგორც საკუთარი პიროვნების თვითშეცნობისა და ინდივიდის სოციალიზაციის, საზოგადოებაში ინტეგრაციის წარმომჩენი პროცესის კრიზისს ასახავს. ილია ჭავჭავაძე განდეგილის პერსონაჟის სახით ინდივიდის მიერ საკუთარი არსის ეროვნულ, სოციალურ და კულტურულ ასპექტში პოვნის აუცილებლობას გვიხატავს. მწირის სოციუმისგან გაუცხოება, საზოგადოებრივ წევრობაზე უარის თქმა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უარყოფა, ადამიანური ურთიერთობების უგულებელყოფა წარმოადგენს თვითიდენტიფიკაციის კრიზისს, რომელიც პიროვნების თვით-

გაიგივების პირობებში შინაგან რღვევას გულისხმობს და განდგომით, დეპერსონალიზაციით, მარგინალიზაციით, სოციალური ინდიფერენტულობით, სამოქალაქო პასიურობითა და ფსიქოემოციური გაორებით, შინაგანი დუალიზმით ვლინდება. აღნიშნული დიფუზიური, ნეგატიური იდენტობის ნიმუშს წარმოადგენს, როდესაც პიროვნება ირჩევს სრულიად საპირისპიროს იმ ზრდასრული როლებისგან, რომლებიც ალტერნატივების სახით არსებობს მოცემულ საზოგადოებაში და მწვავე, ქრონიკულ ტრავმად ყალიბდება.

ახალგაზრდა გოგონასა და ბერს შორის წარმოებული დიალოგი ავტორის მსოფლმხედველობისა და პერსონაჟთა ფსიქოტიპის, ალეგორიულ-სიმბოლური სახისმეტყველების გახსნას ემსახურება. მწყემსი ქალი, რაციონალური აზროვნებითა და ლოგიკური მსჯელობით, განდეგილს საკუთარ რეალურ სახეს დაანახვებს, წლების განმავლობაში გადამალულ სიმართლეს შეაგრძნობინებს და გულწრფელ თვითანალიზამდე მიიყვანს. მკითხველისთვის ხილული ხდება ბერის მარტოობით განპირობებული, ქვეცნობიერში მიმალული სევდა და ტკივილი, ხელოვნურად დათრგუნული ადამიანური გრძნობები. „მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?/ განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის /ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?“ [ილია 1984: 186]. მწყემსი გოგონას სახით თავად ავტორი და ამეტყველებული სიცოცხლე, ცხოვრების ფილოსოფია სვამს კითხვებს. მწერალი გვიჩვენებს, რომ განდეგილი ხსნის ყალბ გზას ადგას და ამიტომაც მარცხდება საკუთარ თავთან – მას არასწორად შერჩეული იდეალი ღუპავს. ილია ჭავჭავაძის მწერლური თვითმიზანი არ არის ადამიანური ვნებებისა და ხორცის პრიმატის დასურათება, ვინაიდან პოემის ქვეტექსტი არ გულისხმობს ბერების დათრგუნული სურვილების რეალიზებისა და სექსუალური ლტოლვის დაკმაყოფილებით განპირობებულ კერძო, პიროვნულ ტრაგედიას. მწყემსი ქალის პერსონაჟი არ წარმოადგენს ბიბლიური ევას ალუზიას, არ განასახიერებს ეშმაკისეულ საცდურს, იგი არ ცდილობს განდეგილის მო-

ხიბვლას, მწირის სენაკში პირველქმნილი ცოდვის სახით არ მიდის. ნაციონალური ნარატივის მქონე კულტურაში ქალი სამშობლოსთან ასოცირდებოდა და ეროვნული ღირებულებების განზოგადებულ სახეს წარმოადგენდა. ამდენად, ილია ჭავჭავაძემ დაგვიხატა არა მამაკაცის მარცხი ქალთან, არა სქესობრივი მოთხოვნილების უპირატესობა ან ასკეტური ცხოვრების წესის გმობა, არამედ მოქალაქეობრივი ვალდებულებებისა და ადამიანური ურთიერთობების უარმყოფელი პიროვნების უშინაარსო, უმიზნო, უნაყოფო, არასწორი ცხოვრებისეული არჩევანით განპირობებული მარცხი. მწერალმა სახელმწიფოებრივი ინტერესები დააყენა წინა პლანზე, რადგან საქართველოს, უპირველესად, აქტიური, ეროვნული ღირებულებებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე, საღად მოაზროვნე საზოგადოება სჭირდებოდა, ხოლო განდეგილის მსგავსი, სინამდვილესა და საკუთარ თავს გაქცეული, სუსტი, შინაგანად გატეხილი, გაორებული, ცხოვრებაში დაკარგული, უფუნქციოდ დარჩენილი, სამშობლოსა და ერისთვის უნაყოფო პიროვნებები, „პასიური სიკეთისა და ბოროტების“ განმასახიერებელ ადამიანებს წარმოადგენდნენ მწერლისთვის.

პოემაში გამოყენებული ცოდვით დაცემის კლასიკური სიუჟეტი ემსახურება არა ეკლესიური ცხოვრების კრიტიკული ანალიზის, ადამიანური ცოდვის სიმძიმის წარმოჩენას, არამედ საკუთარი მეობის უარმყოფელი, იდენტობა- და ფუნქციადაკარგული პიროვნებისა და, შესაბამისად, საზოგადოების – ერისა და ქვეყნის დაკნინება-გადაგვარების, მოსალოდნელი დაღუპვის გარდაუვალ საფრთხეს. განდეგილის სიკვდილი „ბედნიერი ერის სიკვდილია“, დაკნინებული, დამფრთხალი, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილი, ამაოების წუმპეში ჩამხრჩვალი, უმოქმედო, ქართველობადაკარგული ქართველის, ჩვენი ნაციისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასამარებაა. ეს არა კონკრეტული ადამიანის ფიზიკური, არამედ მთელი ქვეყნისა და ერის, ნაციონალური იდეოლოგიის „მეტაფიზიკური გარდაცვალებაა“. ბერის ნავსაყუდელი, ჯაჭვით გადაკეტილი არწივის

ბუდე, თავისუფლებადაკარგული საქართველოს ასოციაციას უქმნის მკითხველს.

ლიტერატურა:

გელნერი, ე. (2003), ერები და ნაციონალიზმი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.

გოგებაშვილი, ი. (2011), წერილები, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი.

მურღულია, გ. (2018), ილია და ქართული საზოგადოების განვითარება, საზრისები, „საქართველოს მაცნე“, თბილისი.

სმითი, ე. დ. (2008), ნაციონალური იდენტობა, „ლოგოს პრესი“, თბილისი.

ჩხარტიშვილი, მ. (2007), ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. კრებულში: ილია ჭავჭავაძე 170 (საიუბილეო კრებული), ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

ჩხაიძე, ი. (2009), ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“), გამომცემლობა „ახალი აზრი“, თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. (1984), თხზულებები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჯონსი, ფ. ს. (2007), სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი.

Named Critical Realism, the Georgian literature of the second half of the 19th century laid the foundation for searching for national identity and self-knowledge, the formation of concepts reflecting understanding within the national chronotype of the anti-colonial movement, and the formation of different value systems. The first of the European model of worldview, Georgian critical religiosity, is nourished by the standard features of our writing; as the ideological-worldview cornerstone of realists, writers is an artistic reflection of

the historical purpose, cultural phenomenon, national values, and civic responsibility. Targeted intellectual activity, political activity, and mobilization of the society are the preconditions for awakening the national self-consciousness, re-evaluating the value system, and transforming the national paradigm. "Caring for the survival of the nation and reviving the culture has been a cornerstone of the philosophy of the Tergdaleans." [Jones 2007: 58-59] Literary scholars have repeatedly stated that our cultural elite led the process of creating the Georgian national idea. It was Ilia Chavchavadze who created the narrative of the Georgian nation, the content of which reflected our reality, everyday life, and living environment. At the same time, in terms of form, it appeared in the form of a European worldview. "He inspired the national spirit of the ethical body of Georgian unity" [Chkhatrishvili, 11]. The writer believed that the idea of progress merged with the model of European development. Civic activism and the transformation of one's reality was a fundamental principle for the poet, and the only sensible strategy was the way of knowledge, science, production, and the unity of nations.

Georgian literature has always reflected epoch-making events, needs, shortcomings, and strengths. Starting from 1801, after the annexation by the Russian Empire, in the first decades of the nineteenth century, the Georgian aristocracy was left without a national-political function, as local Georgian education was neglected or inaccessible to a specific part of our society. Such political processes created a crisis of self-identification in the Georgian colonized culture, clearly reflected in the most visible literary-publicist texts. The concern of self-determination in Georgian literature is related to the existential issue, which implies the fear of national existence and the impossibility of self-determination. This process represents the destruction or negation of identity, the repression of masculine characteristics. Orientation to national goals, development of resistant discourse, and Georgian society's ambivalence are distinguishing signs of our literature as colonial literature. Cultural-

political nihilism, which denies any valuable meaning of semantic and state management that defines illusory communication, words, and concepts that have no real sense, places the context on which physiological, social, and cultural-political trauma, traumatic memory, is formed. He is not loyal to the king, land or faith, but to culture" [Gellner 2003, 46]. In the Georgian reality, this context posed the threat of colonization and the struggle for statehood. "The ideology of nationalism requires immersion in culture, rediscovery of history, the revival of the local language and development of literature." [Smith, 2004: 28].

Ilia Chavchavadze believed that conscious patriotism was a precondition for public welfare. The writer describes the existence of a person, his purpose, the function of an artist, the relationship between social ranks, political-social reality, psychological dilemmas, morally degraded society, mentally weakened, regressive-minded, civic self-conscious, and lacking in culture, the desperate passivity and indifference of the nation and the realities of the crisis of self-identification. Gia Murghulia singles out the main merits of the writer and public figure as an attempt to base the Georgian nation on the rational principles of thinking and living. The philologist rightly notes that Ilia Chavchavadze repeated the work path of Grigol Khandzteli with his creativity and work - he tried to understand the importance of education, culture, and unified consciousness for the Georgian nation. He taught our society complex thinking, "creating a new cultural and educational field in Georgia" [Murghulia, 199]. We have defined the issue, importance, and necessity of raising a "new Georgian" - an educated, dignified, national-minded, progressive-minded, strong-willed person. "Freedom, political autonomy, social and civic synergy were the main ones for him" [Murghulia, 200].

In discussing "The Hermit," we remind of the contradictory and negative evaluations caused by the poem's seemingly unusual story and plot. What most critics have described as a weakness of the work, as a humiliation of the author's name and talent, the history of

literature has given a proper place and a correct assessment when such material presents as a symbolic literary work Such as The Cathedral of Our Lady of Paris by Victor Hugo, The Sin of Abbot Moore by Emile Zola, The Temptation of Gustave Flaubert, The Poor of Lev Tolstoy, and Yukio Mishima, The Love of the Holy Monk of the Saga.

Many scholars have argued that the writer, by denouncing the principle of asceticism, opposed Christianity. However, modern literary critics naturally do not share this view, as one of the pillars of the Creator's ethical belief was that It was not a task. Despite Ilia Chavchavadze as St. Ilia the Righteous, it is necessary to understand that the author distinguishes between secular and religious life, as the individual's main goal is to work for society, the nation, gaining knowledge, science, civic responsibility, and statehood. We must not forget that nationalism is an ideology directed against colonial oppression, violation of rights, and national oppression, the universal principle of which is the nation's priority over religious, class, and universal values. Thus, Ilia Chavchavadze considers Christianity a synthesis of active civic action and moral activity. "The soul, like the flesh, is national to all people. "Nationalism is the collective freedom of the collective individual. As an individual cannot develop, he cannot flourish if his personality and peculiarities pave wide, so the nation will oppress if his nationality gives complete freedom." ["Autonomy and Nationality", Iakob Gogebashvili].

The author argues that apostasy means to escape from reality, personal weakness, "illusory peace and happiness," "utopian solution," inability to know oneself, and rejection of humanity. Ilia Chavchavadze's worldview is representative of critical realism. According to the writer, a person loses his essence by fleeing from life because, according to the writer, a person can not live alone, so society can not develop a citizen can not benefit his nation. The Creator, at first glance, portrays a real monk. According to the laws of the Christian religion, the latter voluntarily escaped secular life to

repeat the path of suffering, condemn carnal desires, and testify to the likeness of the Lord, the Savior. "Day and night he prays mourns, weeps, the flesh is tortured for the soul, and how the vessel turns-he washes with tears, he is barren." (Ilia) The author describes a scribe who, through constant prayer, denial of the sinful life, and even contemplation of the soul, resembles a saint - "suffering many times and being overcome and glorified between sufferings" (Ilia, 177). In the introduction of the poem, Ilia Chavchavadze portrays the monk as a distinguished, worthy person by God: "If he is not worthy of God, no one else can touch this holy place." (Ilia, 177)

The author tells us that hermit fled from the earthly world of many fallen, immoral, hypocritical Pharisees: Recognizing worldview fluctuations. From the very beginning, the habit of examining oneself and the Lord, unsuitable for a person with an established, conscious, faith-strengthening value system, arises doubts: One must condemn and deny the "Lord's servant." The scarcity of life choices reflects the inability to identify oneself and associate with specific typological categories (state, social status, nationality, culture), the crisis of the process of self-identification as one 's self-knowledge and socialization of the individual, integration into society. Ilia Chavchavadze, as Gandegili's character, expresses the need for an individual to find his essence in the national, social, and cultural aspects. Alienation from a meager society, renunciation of public membership, denial of civic responsibility, and neglect of human relations are self-identified crises, implying internal disruption in terms of self-identi-fication and apostasy, depersonalization, marginalization, social indifference, civil disobedience. This diffuse, negative identity pattern is present when an individual chooses the complete opposite of the adult roles that exist as alternatives in a given society and develops into an acute, chronic trauma.

The dialogue between the young girl and the monk opens the author's worldview and character psycho type, allegorical-symbolic character. With rational thinking and logical reasoning, a shepherd

woman will show her true face to Gandegil, feel the truth hidden for years, and lead to sincere self-analysis. The melancholy and pain hidden in the subconscious due to the monk's loneliness, artificially suppressed human feelings become visible to the reader. I said: What is the use of being there for the soul? Does God grieve that man should rejoice in the country born of God? The writer shows that Gandegil takes the false path of salvation and therefore fails himself - he is destroyed by a wrongly chosen ideal. Ilia Chavchavadze's writing intendense to depict the importance of human passions and flesh, as the poem's subtext does not imply a private, personal tragedy driven by the realization of the monks' repressed desires fulfillment of sexual desire. The character of the shepherd woman is not an allusion to the biblical Eve; she does not embody the devilish temptation, does not try to charm Gandegila, she does not go to the poor Senaki in the form of original sin. In a culture with a national narrative, women were associated with the homeland and represented a generalized form of national values. Thus, Ilia Chavchavadze portrayed not the failure of a man with a woman, not the superiority of sexual needs or the condemnation of an ascetic lifestyle, but the loss due to a meaningless, aimless, fruitless, wrong life choice of a person who rejects civic obligations and human relations. The writer put state interests at the forefront because Georgia needed, first and foremost, an active, sensible society with national values and civic responsibilities while, like Gandegil, it fled from reality and itself, weak, internally broken, doubled, lost in life, left dysfunctional. , Barren individuals for the homeland and the nation embodied "passive goodness and passive evil" for the writer.

The classic story of the fall of sin used in the poem serves not as a critical analysis of religious life, but as the gravity of human sin, but as the imminent threat of imminent demise, denial of one's own identity, identity, and function and, consequently, degradation of society - nation and country. Gandegil's death is the "death of a happy nation," a degraded, wary, locked in its shell, drowned in a

vain, inactive, lost Georgianness, our nation, and Georgian statehood. This is not the "metaphysical death" of a particular individual, but the "metaphysical death" of the whole country and nation, national ideology. The monk's dock, a chained eagle's nest, also creates an association of the deprived Georgian with the reader.